

# სალოგოზრო ჰეროელო

26  
მაისი  
№ 57-58 (11548-44)  
1990

განუთი გუბოროს  
1921 წოიონს

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი შანსი 6 კაპ.



ქაქ, სარ. კ. მარქსიძე  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა

ღღას სრულად საქართველო აღნიშნავს  
სახელმწიფოებრიობის აღდგენის ღღას

სახალხო გვარდია  
1918 წელი






# ეროვნულ ყრილობაზე



თბილისი 23-25 მაისი, 1990 წელი



კომუნისტურ პარტიის მცირე გავლენა ჰქონდა და საბჭოთა რუსეთის დახმარების შემყურე იყო, რის გამოც დემოკრატიულ საქართველოში მან მთავრობისაგან დევნა განიცადა. ეს ერთადერთი პარტია იყო, რომელზეც არ ვრცელდებოდა მამინდელი ფართო დემოკრატია. მენშევიკები დიდხანს იდგნენ ეროვნული ნიპილიზმის პოზიციებზე და მათი მოპოვება პარტიული ეროვნული საქმიანობის თანდათანობით მოხდა, თუმცა ის აზრიც არსებობს, რომ ეს მოპოვება მანაც არ იყო საკმარისი თუ არ ჩავთვლით ემიგრაციაში ყოფნის პერიოდს. ასე თუ ისე წყალგამყოფი მენშევიკებსა და ეროვნულ პარტიებს შორის თავიდანვე იყო პოზიცია საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში. თითქმის ყველა პარტიის ლიდერებს ხალხი იცნობდა, ისმენდა მათს პირდაპირ გამოსვლებს ტრიბუნებზე.

იმდროინდელი სიტუაცია დიდად განსხვავდებოდა ახლანდელისაგან და ძნელი წარმოსადგენია, რომ მამინდელი ეროვნული კონცეფციები წაადგეს დღევანდელ ბრძოლას. ერთადერთი ეროვნული კონცეფცია, რომელსაც დრომ ვერაფერი დააკლო და რომელიც საოცარი სისრულით და სიღრმით განსაზღვრავს დღესაც ჩვენი ერის ამოცანებს, ეს არის დიდი ილიას კონცეფცია და მას უნდა მიჰყვეს მთელი ჩვენი ერი.

თქვენ უთუოდ გეჭნებათ დამოკიდებულება დღეს გაჩაღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ. ხახელდობრ, თქვენი აზრით, რა არის კარგი, ხანძარში, მისხაბამი ამ მოძრაობაში?

ახლანდელმა ჩვენმა ეროვნულმა მოძრაობამ უდიდესი საქმე გააკეთა, მან გამოაღვიძა და საბრძოლველად განაწყო ჩვენი მიძინებული ერი. ეს ისტორიული მასშტაბის დამსახურებაა. ამ მოძრაობის, მისი ავტორგობრის გაკვრით, ერთი ხელშეწყობით დახასიათება მიმართა. ჩვენ ყველას ის იმედი გვასულდგმულებს, რომ მოძრაობა მთავრდება თავის ძალთა ნამდვილ გაერთიანებას, დაკვირვებით ვიანზრებს როგორც სტრატეგიას, ისე მიმდინარე ტაქტიკურ გეგმებს და დამოუკიდებლობის პოლიტიკურ ხელოვნებას, რომელსაც შეეძლება საქმიანი მემართულება მისცეს ალგზნებულ ემოციურობის სტიქიას.

ამჟამად ბევრი იწერება, ბევრიც აღრე ნაწერი გამოშვებულია, მაგრამ ფართო მკითხველს მაინც უჭირს ამ ინფორმაციის ზღვაში უმთავრესის მიგნება და გამოყენება, ამიტომ იქნება დავისახელოთ საქართველოს 1917-1921 წლების მოვლენების ამხანგელი უმნიშვნელოვანესი მეცნიერული გამოკვლევა (ნაშრომი, მონოგრაფია), უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული, პუბლიცისტური, გნებავთ ხელოვნების დარგის ნაწარმოებები.

1917-1921 წლების საქართველოს ჩემი აზრით საიმედოდ წარმოგვიდგენს იმდროინდელი პრესა, თუ გვედრისა ძველი კომპლექტების გამოშვებები. წიგნები მიმდინარე ამბებზე იმ დროს ცხელ გულზე ალბათ არ იწერებოდა. მე მასსოც მხოლოდ ნოე რამიშვილის ბროშურა მატერიისისტურ ფილოსოფიაზე. ნოე ყორღანისა და სხვათა შრომები უფრო წინა პერიოდს ეხება. შემდეგ წამოვიდა ორი ძლიერი ნაშრომი — ქართულ ემიგრაციაში მყოფ მოღვაწეთა საინტერესო გამოკვლევები, რომლებიც მიუწოდებოდა იყო ჩვენთვის, და საბჭოთა ისტორიკოსების (გ. ხაჭაპურიძე და სხვა) წიგნები, რომლებიც ალბათ გადახედვის მოითხოვენ ტენდენციურ შეფასებათა სიმრავლის გამო...

ფარნავაზიან-გორგასლიან-დავითიანი? — ისტორიულ წარსულში საქართველოს ჰქონდა სახელმწიფო დროშა, რომლითაც ჩვენს ერს ბევრი ბრწყინვალე გამარჯვება მოუპოვებია და დამარცხებებიც უწევია. როცა რუსეთის იმპერიის 117 წლის ბატონობას ბოლო მოეღო და 1918 წლის 26 მაისს ქვეყნის დამოუკიდებლობა აღდგა, რესპუბლიკის მთავრობამ მოიწვია ჩვენი ისტორიის გამოჩენილი მკვლევარები ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე და მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, რომელთა კომპეტენციაში დაეკვება არ შეიძლება. სამფეროვანი დროშის ავტორი იყო გამოჩენილი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე. დროშა ერთხმად მიიღო კომისიამაც და მთავრობამაც, ხოლო მისმა გამოჩენამ მამინდელ საზოგადოებაში აღფრთოვანება გამოიწვია. საქმარისია გადახედვით დღევანდელ საქართველოს, სანდაც ათათასობით ფრიალებს ივანე ალორძინებული დროშა, რომ დარწმუნდეთ მის ცხოველყოფილობასა და იშვიათ პოპულარობაში.

გაზეთ „თბილისის“ ამა წლის 11 მაისის ნომერში პროფესორი სვიმონ გამსახურდია მკვეთრად აკრიტიკებს ქართველი მენშევიკების უბადრუკ პოზიციას ეროვნულ საქითში. ეს კრიტიკა მე მართებულად მიმაჩნია, მაგრამ ვერ გავიზიარებ ავტორის ცდას, დავუკავშიროთ ჩვენი ეროვნული დროშის ბედი მათს პარტიულ ინტრიგებს და ამბიციებს. ჩვენ ვერ დავიწყებთ ჩვენს დროშას მხოლოდ იმიტომ, რომ მენშევიკებმა მისაღებად ჩათვალეს იგი როგორც მათს პარტიულ წიფელ დროშას მიმსგავსებული და ამაში დაინახეს თავიანთთვის ხელსაყრელი კომპრომისი. ამ დროშის დღევანდელი პოპულარობა ნათლად ადასტურებს, რომ ქართველი ხალხი არც მამინდელი ივანე ვედა შინდისფერ-შავ-თეთრ ეროვნულ დროშას პარტიულ წიფელ დროშასთან და მით უმეტეს არც ახლა აიგივებს.

ისიც უნდა ითქვას, რომ შინდისფერი „იგივე წიფელი“ არ არის — როგორც სხვა ყველაფერში, ამაშიც გამოსკვევის ტრადიციული ქართული ფერადოვნება. თანაც ნუთუ ძნელია იმის შემჩნევა, რომ ამ ორი დროშის ერთმანეთთან მიმსგავსებას აშკარად ხელს უშლის შავი და თეთრი ზოლები ჩვენს დროშაზე. ჩემთვის აგრეთვე სრულიად მიუღებელია ჩავთვალოთ ჩვენი სამფეროვანი „დამარცხებულ საქართველოს დროშად“, როგორც ამას წერს პატრიცემული პროფესორი. ყველა ჩვენი დროშა წარსულში საბოლოოდ მაინც მარცხდებოდა, რადგან ძლიერი მტრების რკალში ვიყავით და ვერ შევინარჩუნეთ დამოუკიდებლობა. ხოლო ახალი ისტორიული პერიოდის ეს დროშა 1921 წლის პროვოცირებული მარცხის მიუხედავად იყო და არის ქაქუცა ჩოლოყაშვილის და ჩვენი დღევანდელი ახალგაზრდობის საბრძოლო დროშა და მას ჩვენი ხალხი არ გასწირავს.

არის კიდევ ერთი ასპექტი. დროშის ამორჩევის დროს უნდა ვინელომდებანელოთ თანამედროვე ესთეტიკური კრიტერიუმებით და არა სქოლასტიკური და ეფემერული დებულებებით. მსოფლიოს სახელმწიფოთა დროშები, როგორც წესი, ფერადოვანია, ბევრი მათგანი ემოციურად აღიქმება. არა მგონია, რომ სახელმწიფო დროშად არაშთაბეჭდვება თეთრმა ტილომ ივარგოს, რომელიც ელემენტარულ გემოვნებასაც ვერ დააკმაყოფილებს. სხვათა შორის, ბალტიისპირეთმა უცვლელად აღიდგინა თავისი სიმბოლოკა და პერალდია. ჩვენ წინ ვუსწრებთ მკვლევებს. დროშაზე ვდავობთ და ლაფში ჩაფლული ურემი ჭერ შინ მისატანი გვაქვს. ვიქონიოთ იმედი, რომ როცა თავისუფლებს ზარი დაჰკრავს, აღმოგვაჩნდება ისეთი გონიერი მთავრობა, რომელიც არ გადასახავს ივანე ჯავახიშვილის კომისიის ბრძნულ არჩევანს. ეს ეხება ჩვენს გერბს „თეთრ გიორგისაც“ და ალბათ კოტე ფოცხვერაშვილისეულ „დიდებასაც“.

80 პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციის, შემოქმედებითი კავშირების, სასწავლო დაწესებულებების თუ წარმოება-დაწესებულებების სხვადასხვა ეროვნების 6020 დელეგატი, უამრავი სტუმარი, როგორც რესპუბლიკის თუ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან, ასევე წარმომადგენლები საზღვარგარეთიდანაც, „ნიდვილარა“, „რამთინადი“... ასეთი იყო ეროვნული ყრილობის საყოველთაო, წარმომადგენლობითი სახე.

ყრილობა აკურთხა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ და აღნიშნა: დღეს ჩვენ ვიწყებთ ისტორიულ ეროვნულ კრებას და შევთხოვთ უფალს, რომ მოგვამაღლოს მშვიდობა და კეთილდღეობა. ეშმა ყოფს ერს, ღმერთი კი აერთიანებს. არაუგის აქვს უფლება იფიქროს, რომ მხოლოდ მას უყვარს საქართველო. საქართველო ყველას უყვარს. ერთად უნდა ვიყოთ, მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს.

ილია მეორემ ყრილობას გადასცა ახლანდელი გამოსული ბილია და წმიდა სანთელი, რომელიც ყრილობის დამთავრებამდე ენთო. ყრილობის ძირითადი საკითხის არგვლივ — ეროვნული კონგრესის არჩევნების შესახებ კანონპროექტის განხილვა-მიღება, მისი სტატუსის განსაზღვრა — სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ცხარე კამათი, თუმცა არაუგის დაუყენებია ექვსი ქვეშ ეროვნული კონგრესის არჩევნების აუცილებლობა.

ყრილობამ მიიღო რამდენიმე რეზოლუცია და კანონ-პროექტი.

ესაუბრა გვანუკი მანია



ე. გიგუშვილი და ვ. ჯუღელი „სახალხო გვარდიანთან“.



სახელმწიფო ბანკის გამგეობის წევრები: სოციალ-დემოკრატები ურულო, ჩხენკელი, არსენიძე, რამიშვილი, ლომთათიძე, ელიავა.



მთავრობა საქართველოში: 1. თავმჯდომარე — ნოე ჟორდანიანი; 2. სამხედრო მინისტრი — გ. გიორგიანი; 3. მისი თანაშემწე, გენერალი გ. მაწიაშვილი; 4. მიწათმოქმედების მინისტრი 5. ხომერვი; 6. კომუნალური კ. ბერიძე; 7. საქართველოს პარლამენტის წევრი გ. მაჩაბელი; 8. პარლამენტის წევრი შ. მიქელაძე; 9. ქაჯუნისან მატარებლის უფროსი ვ. გოგუაძე; 10. გენ. იმნაძე; 11. პოლკოვნიკი ზაქარიაძე; 12. პარლამენტის წევრი ი. ცინცაძე; 13. ნ. მაჭავარიანი; 14. გომართელი (მოსამართლე).



„სახალხო გვარდია“ ვ. ჯუღელთან ერთად მატარებლის წინ.



გენერალი ფონ-კრეცი ურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში“ მარჯვნივ: გენერალი დ. ართვლიძე, ქალაქის თავი დ. კალანდარიშვილი, კ. დათვიძე, მარცხნივ გენერალი ტ. ვაშაძე, ფონ-კრეცის ადიუტანტი ბარონი გამში და-ბელეტრისტი დ. კლდიაშვილი. ქუთაისი, 1919 წ. 80/1.

ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ დროებითი მთავრობის დამხობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გზით შეიძლება რუსეთი კატასტროფული მდგომარეობიდან გამოსულიყო. ოქტომბერში რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მან დაავალდა მისცა დაეწყოთ პრაქტიკული სამუშაოსი აჯანყებისათვის. 24 ოქტომბერს ლამით პეტროგრადში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება, რომლის ციტადელი იყო სმოლნი. 25 ოქტომბერს განხორციელდა იერიში ზამთრის სასახლეზე, სადაც დროებითი მთავრობა იმყოფებოდა. სასახლე აიღეს, დროებითი მთავრობა დააპატიმრეს. მისმა თავმჯდომარემ კერენსკიმ მოასწრო მიმალვა და ემიგრაციაში წასვლა. იმავე დღეს შეიკრიბა საბჭოების მეორე ყრილობა, სადაც მიღებულ იქნა ზავისა და მიწის დეკრეტები. ჩამოყალიბდა პირველი საბჭოთა მთავრობა, რომელმაც გამოაქვეყნა ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხსა თანასწორულულებიანობის და თვითგამორკვევის დეკლარაცია.

ტი; რომელმაც ბოლო მოუღო მსხვილ მემამულურ მიწათმფლობელობას და გლახთა ინტერესები ნაწილობრივ დააკმაყოფილა, რიგ სასახლეო რაიონებში შექმნა ერობები და მოსახლეობას აღუთქვა ეროვნულ პრობლემათა მოგვარება. „ამიერკავკასიის კომისარიატის“ ფორმირების პერიოდში მიმდინარეობდა დამფუძნებელი კრების დეკლარაცია არჩევნები. არჩევნებში ყველა პოლიტიკური პარტია თავისი დეკლარაციით გამოვიდა. დამფუძნებელი კრება გაიხსნა 1918 წ. იანვრის დამდეგს. მისმა შემადგენლობამ არ ცნო 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის კანონზომიერება. ვ. ი. ლენინის მითითებით დამფუძნებელი კრება 1918 წ. 5 იანვარს გაიშალა. ამიერკავკასიის რევოლუციური ორგანიზაცია ცენტრებმა 1918 წ. 9 იანვარს მიიღეს დადგენილება დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიურ დეპუტატთაგან შედგენილი ადგილობრივი საკრებულო, რომელიც ხელში აიღებდა საკა-

ბით. ამ საკრებულომ მთელი თავის უძრავ-მოძრავი ქონება, მილიონობით მანეთად ღირებულო, უსასყიდლოდ გადასცა ქართულ საზოგადოებრიობას. ყარლობამ ეს გადაწყვეტილება დადასტურა, ამასთან, აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო ყველა პარტიათა წარმომადგენლობით (საბჭოში მონაწილეობაზე უარი თქვეს მხოლოდ ბოლშევიკებმა). ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეობა დაეკისრა ნოე ჟორდანიანს. საბჭოთა რუსეთის გაუქმება გერმანელთა შეტევის მოგვარება და მასთან ქ. ბრესტში ზავი დასდო. ეს ზავი მეტად მძიმე იყო რუსეთისათვის, უფრო მძიმე საქართველოსთვის. საბჭოთა მხარემ თურქეთს, როგორც გერმანიის მოკავშირეს, მიაკუთვნა საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი — ყარსი, არდაგანი და ბათუმი. ამიერკავკასიის მთავრობამ ბრესტის ზავი, რა თქმა უნდა, არ ცნო და თურქეთთან ტრაპიზუნდში გამართა დამოუკიდებელი მოლაპარაკება, რასაც არავითარი

# 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია და საქართველო

## საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება

ამიერკავკასიის დემოკრატიულმა პარტიებმა ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების დაპყრობა ჩათვალეს რევოლუციური ინტერესების დაცვად, სექტანტობის გამოვლინებად და მას მხარი არ დაუჭირეს. 1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში ამიერკავკასიის გავლენიანი პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით შედგა საგანგებო თათბირი, რომელსაც 400 კაცი ესწრებოდა. აქ გადაწყდა შექმნილიყო კოალიციური მთავრობა, რომელიც გაუძღვებოდა ადგილობრივ საქმეებს მანამ, ვიდრე დამფუძნებელი კრება შეიკრიბებოდა.

ნონმდებლო ფუნქციებს. 22 იანვარს შედგა დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიის დეკლარაცია პირველი სხდომა, რომელსაც 26 კაცი ესწრებოდა. დეპუტატთა ამიერკავკასიის საკრებულოს ეწოდა „ამიერკავკასიის სეიმი“.

წარმატება არ მოჰყოლია. ბრესტის საზავო პირობებით გზავს-სნილი თურქეთი განაგრძობდა საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების დაპყრობას, ამასთან, უარს ამბობდა ყოველგვარ მოლაპარაკებაზე, თუ ამიერკავკასიის ხელისუფლება ოფიციალურად არ გამოაცხადებდა რუსეთისაგან დამოუკიდებლობას. 15 აპრილს თურქებმა ბათუმი დაიკავეს. შეტევა გრძელდებოდა.

15 ნოემბერს სოციალ-დემოკრატიის, დამწავიკულტურის, მუსიკატელის, ესერების და სოციალისტ-ფედერალისტების პარტიათა წარმომადგენლებისაგან შედგა მთავრობა, რომელსაც ეწოდა „ამიერკავკასიის კომისარიატი“. მთავრობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ევგენი გეგუშვილი. იგი იყო ყოფილი IV სათათბიროს დეპუტატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ცნობილი მესვეური.

1917 წ. მიწურულში ამიერკავკასია და საქართველო დიდი რუსეთის წინაშე აღმოჩნდა. რუსეთ-თურქეთის კავკასიის ფრონტზე დეკემბრის დასაწყისში საომარი მოქმედება შეწყდა და დაზავება მოხდა. საბჭოთა მთავრობის მიერ ზავის დეკრეტით გათვალისწინებული არმია მოწყდა და ამიერკავკასიის გზით შინსკენ — რუსეთისკენ დაიძრა. სწორედ ამ დროს კავკასიის ბოლშევიკ ხელმძღვანელთა ერთ ნაწილს გაუჩნდა აზრი, ეს არმია გამოეყენებინა „ამიერკავკასიის კომისარიატის“ დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

11 მაისს შეიკრიბა ბათუმის კონფერენცია. თურქეთის წარმომადგენლები აქ თავს ლაღად გრძობდნენ და ულტიმატუმის ენით ელაპარაკებოდნენ საქართველოს საზავო დეკლარაციას. ახალი ისინი მთელ საქართველოს უმინებდნენ. საბჭოთა საქართველოს თურქი მოსახლეობა მათივე წაქეზებით მოითხოვდა ცალკე გამოყოფას ე. წ. „ყარსის რესპუბლიკის“ სახელწოდებით. მესხეთის თურქთა ამ ანტიქართულ მოძრაობას სათავეში ედგა გამუსლიმანებული ქართველი სერგებევი (ჩაყვილი). მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა, როცა თურქების ერთმა ნაწილმა აიღო ოზურგეთი, ხოლო მეორე ნაწილი თბილისზე მოიწვედა, თურქებმა მოითხოვეს იმ ტერიტორიაზე მეტი, რაც ბრესტის ზავით იყო ნაკულისხმევი, ამასთან, საქართველოს რაიონებით თავისუფლად სარგებლობის უფლება.

„ამიერკავკასიის კომისარიატის“ შექმნა დამო ამიერკავკასიის ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტმა. ეს ორგანო მან ჩათვალა კონტრრევოლუციურად და ბოიკოტი გამოუცხადა. ბოლშევიკები მოითხოვდნენ პეტროგრადისა და მოსკოვის მსგავსად საბჭოთა ხელისუფლება საქართველოშიც დამყარებულყო.

ამიერკავკასიის კომისარიატმა მუშაობა მოუხდა ურთულეს პერიოდში. მთელი რუსეთი მოიცვა საშინელმა ანარქიამ. საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ აღსდგა მეფის ოფიცრობა, დაიწყო თეთრ-გვარდიული არმიის ლაშქრობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. თავის მხრივ საბჭოთა ხელისუფლება მხარდაჭერას პოულობდა რუსეთის რიგ ოლქებში და მთელი ძალაუფლება ადგილობრივი საბჭოების ხელში გადადიოდა. რუსეთის იმპერიის გამოეყო რამოდენიმე ოლქი, რომელმაც დამოუკიდებელი რესპუბლიკური მმართველობა შექმნა. ბაქოში ხელისუფლება აიღო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ და სოლიდარობა გამოუცხადა ლენინურ კურსს. საბჭოს წინააღმდეგ დაირაზმნენ ეროვნული ძალები, რომელთაც საბჭოებს ომი გამოუცხადეს. აზერბაიჯანის სოფლებში მემამულეთა ინტერესების დასაცავად თურქეთის საოკუპაციო არმია მოქმედებდა. მძიმე ვითარების მიუხედავად, ამიერკავკასიის კომისარიატმა ბევრი სასარგებლო ღონისძიება განახორციელა: გააუქმა წოდებრიობა, გამოსცა აგარული დეკრე-

ამ ულტიმატუმმა ამიერკავკასიის სეიმი პოლიტიკური კრიზისის წინაშე დააყენა. პარტიათა ურთიერთდამოკიდებულება მეტისმეტად გააჩვევა. თურქეთის ოკუპაციის მსხვერპლი ხდებოდა საქართველო და სომხეთი. აზერბაიჯანში კი თურქი მოლაშქრეებს თვითონვე ეპატიებოდა მუსავატელთა პარტია, რომელიც პან-თურქისტული იდეებით იყო გატაცებული.

საქართველოს ეროვნული საბჭო შეიქმნა ყრილობაზე, რომელიც საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური პარტიების თაოსნობით იქნა მოწვეული იმ პარტიოტულ აქციასთან დაკავშირებით, რომელიც განახორციელდა თავადაზნაურთა საკრებულომ ცნობილი საზოგადო მოღვაწის კოტე აფხაზის ხელმძღვანელო-

საქართველოს ეროვნული საბჭო შეიქმნა ყრილობაზე, რომელიც საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური პარტიების თაოსნობით იქნა მოწვეული იმ პარტიოტულ აქციასთან დაკავშირებით, რომელიც განახორციელდა თავადაზნაურთა საკრებულომ ცნობილი საზოგადო მოღვაწის კოტე აფხაზის ხელმძღვანელო-





შექმნილ უმძიმეს სიტუაციაში საქართველოს ეროვნული საბჭოს მესვეურებმა გეზო აიღეს თურქეთის მოკავშირე გერმანიაზე. გერმანიის საზავო დეკლარაციას ბათუმში მეთაურობდა ფონ ლოსი. აკაკი ჩხენკელმა და სხვებმა მასთან დასდეს ხელშეკრულება, რომლითაც საქართველოს ბედობა იმ ამიერკავკასიის გერმანიის უნდა გადასცემოდა. გერმანიის მთავრობას საქართველოში, რა თქმა უნდა, თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები ჰქონდა და იგი ამ ინტერესებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ იმ

ფურცლები

ფურცლები



ეს უკვე ჩვენი ისტორიაა



დღეს მერაბ  
კოსტავას 51  
წელი შეუ-  
სრულდება

ზაზა ფოტო ზუსტად

ერთი წლის წინაა

გადაღებული თამაზ

ბიბილურის მიერ, ქვედა

ფოტო 19 მაისს

გადაიღო გადრი

ვალაჰორია. მინაწერი

კი ნატონ მერაბს

მოგვიანებით

გაუქმებია



1989  
წლის

26

მაისი

ძმაო ბებო  
ქსენკებ გამოუცხადებ ჩაქაფულს  
და სიფხუბს  
პეჯან კოსტავა 4/5 1989





# ახალგაზრდა იუვერელი

უბათი  
26 მაისი  
1990 წ.

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКАЯ МОЛОДЕЖНАЯ ГАЗЕТА „АХАЛГАЗРДА იუვერელი“




**ჩანს გაჯათს** სათაური 20 მარტს შეეცვალა. მაშინ ის გრაფიკულად სახელდახელოდ შეასრულა მხატვარმა მალხაზ კუხაშვილმა. იმავე ნომერში ვახტანგ ჩვენს მკითხველებს, მხატვრებს შემოეთავაზებინათ სათაურის სრულყოფილი გრაფიკული ვარიანტი. ბევრი გამოგვიგზავნა: მხატვრები: თ. ქართველიშვილი, მერაბ გეგუაძე, ვიორჯი კუსრაშვილი, გორიდან; სერგო ლოლიძე, ოზურგეთიდან, ე. მარგველაშვილი, ავთანდილ ტატანაშვილი, ქუთეხის მინდიაშვილი — ქუთაისიდან, დათო ვაგაშვილი, ალფრედ უპიტაშვილი, ვ. შველიძე, თენგიზ ჭანია, ლევან სარაჯიშვილი, ნუკრი ლულუაშვილი, მერაბ მირუაშვილი, ელდარ ხარიძე, კახაბერ გულისაშვილი, ვასილ გელეტი, ევა ქარქაშაძე ტყეშელისიდან, დავით ქვეთარაძე, ქეთიონ ასათიანი, ვლადიმერ დევრისაშვილი, დავით გრძელიძე, ირმა მოსულიშვილი, ელგუჯა ჯღამაია სოხუმიდან. თვითნასწავლი მხატვრები: ირმა ნარიშანიძე საგარეჯოდან, შ. ზაზიაშვილი, თამარიკო ოზოლოძე თერჯოლიდან, მამუკა ოკუაშვილი ხონიდან, მ. ქაჯია ბათუმიდან. ყველას უღრმესი მადლობა თანადგომისათვის. წარმოდგენილი ნიმუშებიდან ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა ნამუშევარმა, რომელიც კიდევ ამჟამინამდე ჩვენ დღევანდელ გაზეთს. მისი ავტორია თბილისელი მხატვარი არქიტექტორი კობე ტაბიძე. მასვე ეკუთვნის ნომრის მთლიანი გაფორმება.



კობე ტაბიძე

## „თურქთა ჯარებისაგან გასაფრთხილება“




საქართველოს ტერიტორიაზე საოკუპაციო საბრძოლო ოპერაციები 1921 წლის მარტის მეორე ნახევარში დაიწყდა. 25 თებერვალს თბილისის დატოვების შემდგომ, ყველასაგან მიტოვებული, ბედს მინდობილი საქართველო 3 კვირა ებრძოდა მტერს. ბოლო ბრძოლები ქართულ

ლმა ჯარმა ბათუმში გადაიხადა, საიდანაც, თავდაპირველად, განდევნა თურქნი, მაგრამ თურქეთისა და რუსეთის ჯარებით გარშემორტყმული საქართველო, ფაქტობრივად, მარცხისთვის განწირული აღმოჩნდა. თურქთა ჯარებისაგან ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულები 1921 წ. 23 მაისს სამხრეთ-საფლავში პატივით დაკრძალეს, ობელისკიც დაუდგეს. შემდეგ, ახლადმოგვინებულმა მთავრობამ გადაწყვიტა, ბათუმის განთავისუფლების პატივი ქართულ ჯარს რად უნდა დარჩენოდა... ობელისკი აიღეს, საფლავი მოასწორეს, ლენინის ძეგლი დადგეს და მოედანსაც მისი სახელი უწოდეს. ახლ. საქართველოსთვის დაღუპულთა საფლავი მოუშალეს, და მათ განაწმენდნენ სხეულებზე საქართველოს დამპყრობლის ძეგლი აღმართეს. ამას ალბათ, ცინიზმი ჰქვია...

მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჩვენ ნელ-ნელა ვიბრუნებთ ძალით წართმეულ არცთუ შორეულ წარსულს. ჩემი თანამოსახლენი არიან საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წევრები, საქართველოს სახალხო ფრონტის ბათუმის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, ისტორიკოსი დათო ბერძენიშვილი და ამავე ორგანიზაციის გამგეობის წევრი ბადრი თევზაძე. როგორც მათ მიიხრეს, რესპუბლიკური პარტიისა და სახალხო ფრონტის ინიციატივით დაკომპლექტებულმა სპეციალისტთა ჯგუფებმა კარგა ხანს იმუშავა არქივში. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მალხაზ სიორიძემ საარქივო მასალებში დაღუპულ მეომართა 14 გვარი აღმოაჩინა (საერთოდ, გარდაღებულნი, რომ მოედანზე 40-44 ადამიანი დაკრძალული. დაღუპულთა რიცხვი მეტი ყოფილა, მაგრამ ბათუმის ახლოს მცხოვრებთ დაღუპული ახლობლები თავადვე გადაუსვენებიათ). შედეგ სათანადო დოკუმენტო, ისტორიკოსების, არქეოლოგების, არქიტექტორებისაგან შემუშავებული და თვითმხილველთა მიერ დამოწმებული, რაც ნათლად ადასტურებდა დაკრძალვის ადგილს. ამის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდეს ბათუმის სახალხო დემოკრატიულ საქალაქო საბჭოს აღმასკომს. აღმასკომმა შეადგინა კომი-

სია, რომლის შემადგენლობის დიდ ნაწილს ჩემი თანამოსახლენი არაკომპეტენტურად თვლიან. თანაც, მიუხედავად აღმასკომის თავმჯდომარის რეზოლუციისა — სხდომაზე მოეწვიათ ამ საქმის ინიციატორები — სხდომა მათ გარეშე ჩატარდა. და რაკი შეგებულად ქიანურდებოდა მოედანზე გათხრების დაწყება, მოსახლეობა კი 26 მაისისთვის უკვე რეალურ



შედგეს ელვლა, საინიციატივო ჯგუფმა გადაწყვიტა მოედანზე დაეწყათ გათხრები; და 19 მაისს ლენინის (აღრე თავისუფლების) მოედანზე, იქ, სადაც, წინასწარი მონაცემებით, დაკრძალული იყვნენ ქართველი მეომრები, დაიწყო გათხრები. გათხრებს, რასაკვირველია, ამ საქმის სპეციალისტები — ისტორიკოსები, არქეოლოგები და არქიტექტორები აწარმოებენ, ამასთან მათ, შეძლებისდაგვარად, ყველა ბათუმელი ეხმარება. ჩემს კითხვაზე — არის თუ არა ეს მხოლოდ რესპუბლიკური პარტიისა და სახალხო ფრონტის აქცია, — დათო ბერძენიშვილიმ აცხადებ: — დათო ბერძენიშვილიმ თვითმხილველთა მიერ დაკრძალვის ადგილს, მათ სიტყვებით, ამ გათხრებში ბათუმის ყველა პროლიტარული ორგანიზაცია, მთელი ბათუმელი საზოგადოება მონაწილეობს. 20 მაისს ე. ი. მეორე დღესვე პირველი ჯარისკაცის ბალოებიანი

ჩონჩხი იპოვეს. დღეს უკვე ჩვენი მეომრების 6 ნეშტია ნაპოვნი... სამხრეთ-საფლავში დაკრძალულთაგან 14 მეომრის გვარი, როგორც ვთქვით, არქივში აღმოაჩინეს. მათ შორის 3 აფხაზია: ტატაშვილი, ანჩაბაძე, ზუზუაია. დიხა, ეს, ალბათ ის დრო იყო, როცა ქართველებს და აფხაზებს გასაყოფი არაფერი გვექნოდა, როცა



ორივენი ქართულ მიწაზე საერთო მტერს ვებრძოდით. სხვების ვინაობის შესახებ ჯერ არაფერი იცინ. ამ წერხლის წაკითხვის შემდეგ, იქნებ, გამოვხატოთ. ბათუმელს, იქნებ ვინმეს ოჯახის წევრი, ახლობელი ან ნათესავი დაეძღუება ბათუმში 1921 წლის 18-20 მარტს. მათთვის ნებისმიერი ინფორმაცია ძვირფასია. მეომრების საფლავის აღდგენის შემდგომ ხომ ისინი ობელისკის აღდგენასაც აპირებენ. ახლა კი მოედანზე კვლავ გათხრება. მოსახლეობა შორეული აუფლებიდანაც კი მოდის დასაბარებლად. ბადრი თევზაძემ მიახლოებით: თავდაპირველად, თურქი, სოფლებში ხმა გაუფრცხვლებიათ, საფლავებს იმეღმ თორიან, რომ... ოქროს ეძებნო. მოდიოდნენ განრისხებული ადამიანები; განსაკუთრებით — მოსუცები და საფლავის შეურაცხყოფისთვის პასუხს გვთხოვდნენ, მერე კი, როცა სა-

ქმის ნამდვილი ვითარებას შეიტყობდნენ, მხარში ამოგვიდგებოდნენ ხოლმე. დასმარებით კი, როგორც თავად მიიხრეს; მხოლოდ ბათუმის საზღვაო სანაოსნოს უფროსი გემალ კოლევარი დავებარათ — ტეჩიკი, რაც ასე ძლიერ ესაჩირობოდა. შემდეგ კი 22 მაისის ვახუშტის სახელობის აქარის“ ნომერი მიჩვენეს, სადაც ბათუმის სახალხო დემოკრატიულ საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება № 364-ია დაბეჭდილი: „1921 წლის 18-20 მარტს თურქთა ჯარებისაგან ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთა სამხრეთ-საფლავის შესახებ“. აღმასკომში აღნიშნავს, რომ სახალხო ფრონტის რეგიონალურმა ორგანიზაციამ დააყენა საკითხები სამხრეთ-საფლავის სავარაუდო ადგილის დადგენის და ლენინის მოედანისათვის (სადაც სხვათაშორის, უკვე აღარ დგას ლენინის ძეგლი) თავისუფლების მოედნის სახლის დაბრუნების შესახებ. აღმასკომი პირველ საკითხს ეთანხმება და კომისიასაც ქმნის (ამ კომისიის შემსახებ უკვე ვთქვით), მაგრამ ყველა საჭირო საშუალოს დამთავრებას“ კომისიას 1991 წლის 26 მაისისთვის სთხოვს მეორე საკითხს — კი სესიაზე განსახილველად იტყვევს. გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ გამოქვეყნებული სათანადო ინფორმაცია, მიუხედავად მისი ბუნდოვანებისა, იმის იმედს გვიტოვებს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება, პრინციპში, არაა წინააღმდეგი, სათანადო დასმარება აღმოუჩინოს ინიციატორებს. მხოლოდ ევა, ყველაფერი ეს, როგორც ჩანს, მომავლისათვისაა გათვალისწინებული. გადადებული საქმე კი, ამის მწარე გამოცდილება გვაქვს, არცთუ იშვიათად, საერთოდ აღარ კეთდება. არადა, საზოგადოებრიობა ელის დროულად მიავსებათივი სამშობლოსათვის დაღუპულთა ხსოვნას.

**ნატო ონიანი**  
გ. ჩიგოშვილის ფოტოგრაფია.

ავტორის თხოვნით პონორარი გადაირიცხება საქართველოს ეროვნული მადლიერების ინსტიტუტის ფონდში.

ნაკრული და თანამედროვეობა







კ ა ნ ი

საქართველოს რესპუბლიკის გერბისა.

I. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას აქვს თავისი სახელმწიფოებრივი გერბი.-

2. გერბად არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობითა

1918 წ. სექტემბრის 20.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს

თ ა ვ მ ჯ დ მ ა რ ე ნ. მკვი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

თ ა ვ მ ჯ დ მ ა რ ე ნ. უკრაძე



ა დ რ ე რ ი ღ მ ბ ა საქართველოს რესპუბლიკის დერბისა.

I. შვინდისფერ ადგილიანს რგვად ვარშედ თეთრი გიორგი ოქროს ჩლიქებთან თეთრს ცხენზედ.

მარჯვენა ხელში ძეხაფეველ მომარჯვებულ ოქროს მუხი ვერცხლის ლახვრიანი.

ცხენი კვამანი, რომელსაც აქვს ვერცხლის უკრდეობი; კავშინი ქვეშ მიხაკის ვერი ყყავის პერანგი; ხახელა და ბოლო მოსახამისა თეთრი.

მარცხენა მხარზედ თეთრი ღარი ხახიანი; მადვარი აღისდერი, ოქროს წაღები;

უნაგირის ქვეშ ვეფხის ყყავის ყაჭარი; უნაგირი ოქროსი და უშანვი ვერცხლისა;

ღერბის თავში რვაკუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი; მის მარჯვნივ ვერცხლის მთვარე, მარცხნივ ოქროს მზე; მთვარის და მზის აქეთ-იქით ორ ორი რვა კუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი.

ცხენის ქვევით შავი მთის მწვერვალი. ღარის გარშემო შავი არშია თეთრ წინჭკვებიანი ოქროს ზოდებში ჩახმული.

2. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მიღებისა. 1918 წ. დეკემბრის 27-ს.

საქართველოს პარლამენტის

თ ა ვ მ ჯ დ მ ა რ ე ნ. მკვი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის


თ ა ვ მ ჯ დ მ ა რ ე ნ. უკრაძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის



დემოკრატიული საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლისთავი, ტრიბუნაზე; მარცხნიდან მარჯვნივ: 1) საქართველოს მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრი ნ. ნ. უორდანი (მთავრობის თავმჯდომარე); 2) ს. მდივანი (დამფუძნებელი კრების წევრი); 3) მარშენ... (შინაგან საქმეთა მინისტრი); 4) გრ. ლომთათიძე (სამხედრო მინისტრი); 5) ლომთათიძე (დამფუძნებელი კრების წევრი); 6) ექვთიმე თაყაიშვილი (დამფუძნებელი კრების წევრი) და უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლები.



საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდენტის წევრები: გ. ნათაძე, ექვ. თაყაიშვილი, ქ. შარაშიძე და სხვები.

კ ა ნ ი

საქართველოს რესპუბლიკის დროშისა.

I. საქართველოს რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა სამეფროვანი: წითელის /შვინდის ფერის/ შავის და თეთრის ფერისა.

2. დროშას შეადგენს: თეთრი ბუნი თავში პირთვითა და შუბის წვერით, აღამი წითელი /შვინდის ელერისა/ შავი და თეთრი თანასწორი ზოდებით შემოკლებული ბუნოან; შავი და თეთრი ზოდები შეადგენს აღამის განის ნახევარს და სიგრძის ორ მეხუთედს.


1918 წ. სექტემბრის 10-ს

საქართველოს ეროვნულ

საბჭოს თ ა ვ მ ჯ დ მ ა რ ე ნ. მკვი

საქართველოს რესპუბლიკის

მთავრობის თ ა ვ მ ჯ დ მ ა რ ე ნ. უკრაძე



საქართველოს დამფუძნებელი კრების საერთო ხელი.



კ ა ნ ო ნ ი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ მ წ ი გ ო

ე ნ რ ს ა.

I.

1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება სხვა და სხვა დაწესებულებაში ცალკე კანონით განისაზღვრება.

II.

2. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველწლიური საქმის წარმოება და კამათი უნდა იყოს ქართულს ენაზედ.

3. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლიან სიყვავა წარმოსთქვას დედაენით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: წესი ენის ხმარებისა და თარგმანისა ვანი-საზღვრება რეგლამენტით, რომელსაც საბჭო შეიმუშავებს.

I918 წ. ოქტომბრის I-ს.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს:

თ ა ვ მ ჯ ღ ო მ ა რ ე ნ. სეიფი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

თ ა ვ მ ჯ ღ ო მ ა რ ე ნ. სეიფი

კ ა ნ ო ნ ი

ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადებისა.

ა/ გამოცხადდეს ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად და დაერქვას "ფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი".

ბ/ სახელმწიფო ყოველწლიურ ბარჯთაღრიცხვაში შედანიდ იქნეს განსაზღვრული თანხა უნივერსიტეტის შესანახად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამა I918 წელს მიეცეს ფილისის უნივერსიტეტს თანახმად წარმოდგენილ ბარჯთაღრიცხვისა, 384.300 მან.

გ/ დამფუძნებელ იქნეს ღრუბითი ძირითადი დებულება უნივერსიტეტისა.

I918 სექტემბრის მ.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს

თ ა ვ მ ჯ ღ ო მ ა რ ი ს

თ ა ვ მ ჯ ღ ო მ ა რ ი ს ი. ბილაძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

თ ა ვ მ ჯ ღ ო მ ა რ ე ნ. სეიფი

კ ა ნ ო ნ ი

შირველ-დაწყებითი სკოლების დახართვისა.

I. გაიხსნას ტფილისის გუბერნიის 27 ახალი აირველ-დაწყებითი სკოლა.

2. გაიხსნას ახალი კომპლექტი I8 მრავალრიცხოვან საბჭოთა სკოლაში.

3. გაიხსნას განათლების საინისტროს კრედიტი ახალ სკოლების და კომპლექტების შესანახად თანხად ამ კანონითან დართულ ბარჯთაღრიცხვისა ან ოგდა ერთი ათასი ოთხას ორმოცი /121440/ მანეთი.

I918 წ. ნოემბრის I9-ს.

საქართველოს მარტაშვილის

თ ა ვ მ ჯ ღ ო მ ა რ ე ნ. სეიფი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

თ ა ვ მ ჯ ღ ო მ ა რ ე ნ. სეიფი

დ ე ბ ე ლ ე ბ ა

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სახელმწიფოების შედგენისა.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს ეროლის "საქართველოს პარლამენტი".

I918 წ. ოქტომბრის 8.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს

თ ა ვ მ ჯ ღ ო მ ა რ ე ნ. სეიფი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის


თ ა ვ მ ჯ ღ ო მ ა რ ე ნ. სეიფი

საქართველოს  
საბჭოთავო  
საინფორმაციო  
სისტემა

საქართველოს  
საბჭოთავო  
საინფორმაციო  
სისტემა



საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის საერთო ხედი.



II ინტერნაციონალის დელეგაცია მენშევიკურ საქართველოში 1920 წელს, საქართველოს მუზეუმის წინ ამ ზეიმის აღსანიშნავად.



მიტინგი ქ. თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე (1917-1918 წლის 1 მაისს).









# სკალ ეროვნულ სტადიონზე...



კაპანაძე („გორდა“); თავდასხმე-  
ლები — გია გურული, კახი კა-  
პარაძე (ორივე — „იბერია“), მა-  
შუკა ფანცულაია („გორდა“) და  
მელიორ ბიგვაჯა („ოლიში“)...  
გზა დაგვილოცნია!  
...არა, ისინი ოცდასამნი არ არი-  
ან. მათთან ერთად ქართული ფე-  
ბურთის სამი ცოცხალი ლეგენ-  
დაა, ახლო წარსულში სამი ბრწყი-

სიტყვებით შეგვიძლია მათი მოხ-  
სენიება, თუმცა (იმედია გამოიგე-  
ბენ, რომ ამას რუსთაველების სა-  
წყენად არ ვიხსენებ), აქვე, თბილის-  
ში, უკეთეს საფარად მოედანზე  
შეიძლება ვარჯიშების ჩატარე-  
ბა მაგრამ, ეს ჩვენი წმინდა სუ-  
ბიექტური აზრია...



წვალე ფეხბურთელი, ამჟამად კი  
საქართველოს ეროვნული ნაკრე-  
ბის მწვრთნელი — გივი ნოღია,  
რამაზ შენგელია და ოთარ გაბე-  
ლია.


სულთმაბათს საღამოს კი საქარ-  
თველოს ეროვნულმა ნაკრებმა  
მსუბუქი მოთევის შემდეგ ორ-  
მხრივი შეხვედრაც ჩაატარა, რე-  
მელსაც მუტად „მეცარად“, ობი-  
ექტურად და ყურადღებები სჭი-  
და... საქართველოს ეროვნული ნა-  
კრების მთავარი მწვრთნელი გივი  
ნოღია მის მიერ სამართლიანად  
დანიშნული საჯარო მეთრე ტა-  
იმში ოსტატურად გამოიყენა კი-  
დევაც საქართველოს ეროვნული  
ნაკრების ერთ-ერთმა წევრმა.  
ჩვენ არც მის გვარს ვასახელებთ,  
არც სხვა დანარჩენი „გატანილი  
გოლების ავტორებს და არც შე-  
დეგს — ამას არავითარი შედეგი  
არა აქვს. მთავარი კი, ალბათ, ის  
არის, რომ მატჩში მონაწილე ყვე-  
ლა ფეხბურთელმა სრული მზად-  
ყოფა გამოავლინა.

მამ ასე, ფეხბურთელები, მწვრ-  
თნელები, გულმემატყვირები, —  
ყველანი სულმოუთქმელად ვე-  
ლით ხვალინდელ დღეს, რომ თბი-  
ლისის ეროვნულ სტადიონზე ერ-  
თხმად შეგვიხლო:

სა-ქა-რ-თ-ვე-ლო  
სა-ქა-რ-თ-ვე-ლო  
სა-ქა-რ-თ-ვე-ლო  
გზა დაგვილოცნია...

გია ტუხაშვილი

სურათი: საქართველოს  
ეროვნული ნაკრები; ერთ-ერთი  
ვარჯიშის დროს. ოცდა  
გამეფისინის ფოტოები.



საქართველოვ,  
შენ  
ვინ მოგცა  
შვილი  
დასაპარგავი!



ერის ისტორიაში ოქროს ასობითაა ჩაწერილი თავდადებულთა  
სახელები. დიდა ეს ისტორია... იყო დიდგორი და ბასიანი, ახპინძა და  
მარაბდა, მარტყოფი და კრწანისი, სიღუბნირე... მწუხარება... და სულ  
ახალი 9 აპრილი.

და ვაი, რომ კვლავ გრძელდება მწუხარება, თითქმის დღე ისე არ  
გავა, ხაგზო-სატრანსპორტო შემთხვევამ ადამიანის სიცოცხლე არ შე-  
იწიროს. და მით უფრო საწუხარია ეს ტრაგედია, რომ ასე უმიზნოდ  
დაღუპული 42 სიცოცხლე, რომელიც მიმდინარე წელს დაკარგეთ, ის-  
ტორიაში არ შევა.

დღეს საქართველო ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადების  
შორეულ თარიღს იხსენებს და შოი, რა ძლიერ საქირია ახლა ჩვენი  
სიმრავლე, როგორ წაადგებოდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა  
ხმას ავტოვარიით დაღუპული თანამემამულეთა ხმაც.

თანამემამულენო, თბილისის სახელმწიფო ავტონისპექცია მუდამ  
თქვენთანაა, ვთხოვთ უველას, ვიყოთ ყურადღებიანი, გაუფრთხილდეთ  
ერთმანეთს, რათა აღარ იყოს მსხვერპლი, აღარ იყოს ცრემლი...

თბილისის სახელმწიფო

## დღეს თქვენ აბტონსკაქსია არ დაგაჯარიმებთ!!!

თუ რატომ, ამაზე გვესაუბრება  
თბილისის სახელმწიფო ავტონისპექციის აგი-  
ტაცია-პროპაგანდის ჯგუფის უფ-  
როსი, შილიციის შაიორი რუპინ  
შარაძე.

ახლა ცხადზე უცხადესი გახ-  
და, თუ როგორ აუბა მხარი ერო-  
ვნულ განმათავისუფლებელ მოძ-  
რაობას ყველა ქვეყნისა ქართ-  
ველმა მამულიშვილმა. დიდა  
ოცნებები და სურვილი, მაგ-  
რამ აუცილებელია ითქვას, რომ  
არც ერთ სურვილს აღსრულება  
არ ექნება, თუ ერთად არ შევიჭი-  
დროვდით ერთმანეთი არ შევიყ-  
ვართ, ერთმანეთს არ გაუფრთ-  
ხილდით.

დამაფიქრებელია ფაქტები, რო-  
მელიც ესოდენ გახშირდა ჩვენს  
სათაყვანებელ საქართველოში, გა-  
ხშირდა მკვლელობა, განსაკუთრე-  
ბით ახალგაზრდებს შორის, ამას  
ემატება ყოველდღიური ავისმომა-  
სწავებელი საგზაო სატრანსპორ-  
ტო შემთხვევები. ამ მხრივ გან-  
საკუთრებით ცუდი მდგომარეო-  
ბაა დედაქალაქის გზებსა და მა-

გისტრალეზე. მიმდინარე წელს,  
იანვრიდან დღემდე 46 ადამიანის  
სიცოცხლე გამოაღდა ჩვენს ქა-  
ლას. მათგან უმრავლესობა ახალ-  
გაზრდობაა — ჩვენი მომავალი და  
ჩვენი იმედი, და ვაი, რომ ასე  
უსახელოდ, ასე ტყუილბრალოდ  
დაეკარგეთ ისინი.

თბილისის სახელმწიფო ავტო-  
ნისპექცია ყველაფერს აკეთებს  
იმისათვის, რათა, რაც შეიძლება  
მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ავ-  
ტოავარიები და მისგან გამოწვეუ-  
ლი ადამიანთა მსხვერპლი. ერთი  
ჩვენი მონდომებითა და მეორე  
თქვენი მხარდაჭერით, ძვირფასო  
მოქალაქენო. თქვენი გარეშე,  
თქვენი ძალისხმევის გარეშე ფუ-  
ქია ჩვენი საქმიანობა.

დღეს თბილისის ავტონისპექცი-  
ას ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა,  
შეგინდოთ მცირეოდენი დანაშაუ-  
ლი და ჭარბის ქვიტორის მაგიერ,  
ეს პატარა მოწოდება გადმოგცეთ  
იქნებ წაიკითხოთ, დაფიქრდეთ და  
თქვენი თანადგომაც ეფრძნეთ.

1990 წლის 15 მაისს ხულო-  
დან, სხალის ეკლესიის ეზოდან  
გამოვიდა ახალგაზრდების ჯგუფი.  
მათი მიზანია საქართველოს სახე-  
ლმწიფოებრიობის აღდგენის დღი-  
სათვის — 26 მაისისათვის თბი-  
ლისში ფეხით ჩამოვიდნენ... გზე-  
ზე მათ ბევრი მოცილებს, ბევ-  
რიც წინ ხედება... ყველა ვინც კი  
მათ დინახავს, ერთიანად ამალო-  
დება გაკეთილმობილება, განს-  
პეტყდება, დმერთთან სიახლოვეს  
იგრძნობს... წინ მომავალი წმინ-  
და ნინოს ვაზის გვარს მოაბრძა-  
ნებს, მეორე — წმინდა ნინოს  
ხატს, მათ უკან მომავალი ჯგუფის  
თავზე სამფეოროვანი დროშის ფრი-  
ალი კი ტაძრის გუმბათის ასოცი-  
აციის იწვევს...  
ალბათ, სიტყვის დიდოსტატსაც  
კი გაუჭირდება ამის გადმოცემა,



## ზემო აჭარადან უხით დადაქალაქისაკენ

ამ ამალეების, ამ ეროვნული სი-  
ამაყის, ამ ერთგულების, ამ მშვე-  
ნიერების...  
...ჩვენ იქედან მოვდივართ, სა-  
დაც საქართველოს ქრისტიანობის  
აკვანი დარჩა, ჩვენ იმ კუთხიდან  
მოვდივართ, რომელიც ანდრია  
პირველწოდებულმა გაანათლა,  
ჩვენ იმ გზით მოვდივართ, საიდა-  
ნაც წმინდა ნინო შემოვიდა, ჩვენ  
იქ მოვდივართ, სადაც საქართვე-  
ლოს გულია... ჩვენ ამ გზებს მო-  
მავალშიც ასევე გამოვივლოთ,

ოლონდ, ღვთის წყალობით ეს გზე-  
ბი უკვე თავისუფალი საქართვე-  
ლოში იქნება...

საე ფრამენტულად დაგვჩა  
მათი ნალაპარაკები...

აქვს კი მნიშვნელოვანი მათი გვა-  
რების ჩამოთვალს (ისინი ხომ  
ზოგად ქართული სულის გამო-  
ვლინებანი არიან!).

და მანაც გვინდა ისტორიამ შე-  
ინახოს მათი სახელები... ამირან,  
მერაბ, ალოოზა, ალექსანდრე, რე-  
ვაზ გორგოლაძეები, ანზორ, რა-  
მავ სურმანიები, დავით დვი-  
თაძე...

ონისე სურგანიძე  
ბარიელ ფუტყაძე

რედაქტორი  
მერაბ ბალარჯიშვილი

„ახალგაზრდა ივრეილის“  
დღევანდელი ნომერი 16 გზე-  
რდინია.

სალოგზარდა  
ვერიული  
Общественно-политическая  
молодежная газета  
«Ахалгазрда Ивериеლი»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-81;  
პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56;  
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ  
სამუშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.  
რედაქციაში შემოსული მასალები ავტო-  
რებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს კვ ც-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება  
ოქტომბრი წესით ხაგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7,  
8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15  
უე 00916

რედაქტორი  
მერაბ ბალარჯიშვილი  
რედაქციის მისამართი  
მ. თბილისი — 380008  
მ. კოსტავას ქ. № 14.